ბავშვის ადვოკატი - საუკეთესო პრაქტიკა და ეთიკური საკითხები
ამერიკის შეერთებული შტატების სამართლისა და პრაქტიკის მიდგომები[1].

კარა რ. ფინკი, სამართლის პრაქტიკოსი პროფესორი[2],
ბავშვთა უფლებების ინტერდისციპლინური კლინიკის დირექტორი,
პენსილვანიის უნივერსიტეტი კარის სამართლის სკოლა

2021

სარჩევი

1 დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

2 გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და მოსაზრებები არ წარმოადგენს პენსილვანიის უნივერსიტეტის მოსაზრებებს და პოზიციას და უნივერსიტეტის დასახელების მიზანია ორგანიზაციისადმი კუთვნილების მითითება.

შესავალი 2
ბავშვთა ეთიკური წარმომადგენლობის ძირითადი პრინციპები 3
ბავშვის ადვოკატის განსაზღვრება 6
ბავშვთა წარმომადგენელი ადვოკატის ვალდებულებები 9
რას ნიშნავს მარწმუნებლის თავგამოდებით დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მარწმუნებელი ბავშვი ან მოზარდია: 10
შტატის პრაქტიკის მაგალითი (პენსილვანიის შტატი) 11
ბავშვი, როგორც მოწმე 17
(1) ბავშვის მიერ ჩვენების მიცემა პირდაპირ ეთერში ორმხრივი ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით. 19
(2) ბავშვის დეპონირებული ჩვენება ვიდეოჩანაწერით. 20
საუკეთესო პრაქტიკა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას 21
ბავშვთან კომუნიკაცია 24
შვიდი სასარგებლო რჩევა ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისთვის 27
ეთიკური სირთულეები საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის დროს 28
ლიტერატურის მიმოხილვა ბავშვთა ადვოკატების შესახებ 30
ბავშვთა წარმომადგენლობის საუკეთესო პრაქტიკა 31
რესურსები ტრავმასთან დაკავშირებით 33
ბავშვი, როგორც მოწმე 34
ბავშვთა წარმომადგენლობის შესახებ სტატიების სამართლებრივი მიმოხილვა 35
სამართლებრივი განათლება ბავშვთა ადვოკატებისთვის 35

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში შეჯამებულია ის პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა,რომლებიც საფუძვლად უდევს ბავშვთა სამართლებრივი წარმომადგენლობის სისტემას ამერიკის შეერთებულ შტატებში. PHR-ის ადვოკატების გუნდთან საუბრებზე დაყრდნობით, დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:
(1) ბავშვთა ეთიკური წარმომადგენლობის პრინციპები;
(2) სავალდებულო ეთიკური სტანდარტები ბავშვთა წარმომადგენლობის დროს და
(3) საუკეთესი პრაქტიკა ბავშვთა წარმომადგენლობის სისტემის დანერგვისა და სასამართლო პროცესში მონაწილეობისას.

დოკუმენტი ასევე შეეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრisა და დადგენას თემას, ბავშვების მონაწილეობით მიმდინარე საქმეებში. მოცემულია ლიტერატურის, მათ შორის სამართლის სკოლის კლინიკური პროგრამების, მიმოხილვა. აღნიშნული მასალების მიზანია ქართველი იურისტებისთვის იმ რესურსების მიწოდება, რაც სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ბავშვთა ადვოკატების, არამედ მოსამართლეების, პროკურორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სწავლების მიზნით. მართალია, ციტირებული ნაშრომებისა და დანართების უმრავლესობა უკავშირდება ბავშვთა წარმომადგენლობის კონკრეტულ პრაქტიკას ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა კეთილდღეობის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მათი უგულებელყოფის ან არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებულ პროცესებში, მაგრამ ეს საკითხები და თემები შეესაბამება საქართველოში ბავშვთა უფლებების კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებს.

ბავშვთა ეთიკური წარმომადგენლობის ძირითადი პრინციპები

ბავშვთა ხარისხიანი წარმომადგენლობის მნიშვნელობა ჯეროვნად უნდა შეფასდეს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბავშვებს ესაჭიროებათ სამართლებრივი წარმომადგენლობა, თავგამოდებული დამცველი არაერთ საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა, მაგალითად: ძალადობისა და უგულებელყოფის სასამართლო პროცესები, მეურვეობის/მზრუნველობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმეები, არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხები და შემთხვევები, როდესაც ბავშვი მოსარჩელეს წარმოადგენს ან მოეთხოვება ჩვენების მიცემა. ათწლეულების განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი ეყრდნობოდა იმ პრაქტიკას, რომ ახალგაზრდები იმსახურებენ სამართლებრივ წარმომადგენელს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც საქმე ეხება მათ უფლებებს.

1967 წელს გამართულ პრეცედენტულ საქმეზე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა არასრულწლოვანს აქვს უფლება მიიღოს ერთი და იგივე პროცედურული გარანტიები და სათანადო სამართალწარმოება არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებული საქმის წარმოების დროს. იხ. გოლტის საქმე (*In Re Gault*, 387 U.S. 1 (1967)). გასული ათწლეულების განმავლობაში შტატები პრეცედენტის შესაბამისად იქცეოდა ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეების დროს და გამოყოფდა ადვოკატებს მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული ბავშვებისთვის.

ამჟამად ბავშვთა ადვოკატები ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა სასამართლოში მონაწილეობენ როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ადვოკატი შეიძლება დაენიშნოს ბავშვს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში მომჩივან მოწმეს ან მსხვერპლს წარმოადგენს. ბავშვებისთვის, რომლებსაც ბრალი ედებათ არასრულწლოვანთა დანაშაულში, გამოიყოფა დამცველი არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებთან დაკავშირებით საოჯახო სამართლის სასამართლოში. მეურვეობის/მზრუნველობის საკითხებთან დაკავშირებით, ბავშვებისთვის, რომლებიც მონაწილენი არიან მეურვეობის/მზრუნველობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში, გამოიყოფა ადვოკატი ან საპროცესო წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგენს მათ საუკეთესო ინტერესებს სასამართლოში მეურვეობის/მზრუნველობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. და ბოლოს, ბავშვებისთვის, რომლებიც ძალადობისა და უგულებელყოფის საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის მონაწილეები არიან, იურისდიქციების უმრავლესობაში გამოიყოფა ადვოკატი, იმის მიუხედავად, ბავშვის მინდობით აღზრდის მიზნით განთავსება ხდება, თუ სასამართლო გადაწყვეტს ოჯახზე ზედამხედველობას. როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის, ასევე მშობლის უფლების შეზღუდვასთან/ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საქმეებში, საოჯახო სასამართლო ხშირად მუშაობს სხვა დარგების სპეციალისტებთან ერთად; მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებთან, ნარკოლოგიურ კლინიკებსა და ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო სააგენტოს ან არასრულწლოვანთა სამართლის ადგილობრივი სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან ერთად.

ზოგიერთ შემთხვევაში სხვა პროფესიონალები სასამართლოს სისტემის შემადგენლობაში არიან, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მიმართვის სისტემა, რომელიც სასამართლო სისტემაში შედის; ან, შედიან პეტიციისა და სამართლებრივი დევნის სააგენტოში. მაგალითად, ბავშვთა

დაცვის სოციალური თანამშრომლები, რომლებიც ბავშვთა კეთილდღეობის ადგილობრივ სააგენტოში მუშაობენ და ეკისრებათ ბავშვთა უგულებელყოფისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ბრალდებების გამოძიება და საბოლოოდ ჩვენების მიცემა ბავშვთა კეთილდღეობისთვის სასამართლო პროცესის დროს.

ბავშვთა წარმომადგენლობის განსაკუთრებული ხასიათის გამო ხშირად ადვოკატებსა და მოსამართლეებს, რომლებიც ამ საკითხებს განიხილავენ, სპეციალური უნარები და ცოდნა მოეთხოვებათ, რათა საუკეთესოდ ემსახურონ იმ ბავშვებსა და ოჯახებს, რომლებიც მათ წინაშე წარსდგებიან. ბავშვთა ადვოკატებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რათა დაეხმარონ ბავშვებსა და ახალგაზრდებს რთულ სამართლებრივ საქმეთა გარკვევაში, საკუთარი სამართლებრივი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გააზრებაში. სწორედ მათ უნდა დაიცვან საუკეთესო შედეგები მარწმუნებლისათვის კონკრეტულად მისი ცხოვრებისა და განვითარების მოცემულ ეტაპზე . თუმცა „საოჯახო სამართლის ინიციატივის“, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციისა და ბავშვთა და მშობელთა უფლებების დამცველი სხვა ორგანიზაციების პროექტის რეკომენდაციით, „ბავშვთა ადვოკატები და მშობელთა ადვოკატები ბავშვთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების დროს, უპირველეს ყოვლისა, არიან ადვოკატები, რომელთაც აქვთ ეთიკური მოვალეობები საკუთარი მარწმუნებლების წინაშე და მართლმსაჯულების აღსრულების თვალსაზრისით, შეჯიბრებითი სისტემის ფარგლებში.”[3]

მართალია, ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესებისა და მეურვეობის/მზრუნველობის საქმეების დროს ბავშვთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები განსხვავდება სხვადასხვა შტატის შემთხვევაში, მაგრამ არსებობს საერთო პრინციპები, რომელთაც ეფუძნება ბავშვთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, მისი შინაარსი და ფარგლები. შტატების კანონმდებლობა განსაზღვრავს, როდის და რა წესით ინიშნება ბავშვის ადვოკატი ისეთი პროცესების დროს, როგორებიცაა, მაგალითად, ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეები და არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებული პროცესები. ოცდათორმეტ შტატში გარანტირებულია ბავშვისათვის ადვოკატის გამოყოფა ძალადობასა და უგულებელყოფასთან დაკავშირებულ პროცესებში, ხოლო დანარჩენ შტატებში სასამართლოს დისკრეციაა წარმომადგენლობის დროისა და საჭიროების

[3] Family Justice Initiative, “Attributes of High-Quality Legal Representation for Children and Parents in Child Welfare Proceedings” (საოჯახოსამართლის ინიციატივა, „ბავშვებისა და მშობლების ხარისხიანი სამართლებრივი წარმომადგენლობის მახასიათებლები ბავშვთა კეთილდღეობის სასამართლოპროცესებში“) *ხელმისაწვდომია ბმულზე* https://15ucklg5c821brpl4dycpk15-wpengine.netdna-ssl.com/wp-content/uploads/sites/48/2020/03/fji-atttibutes-2019.pdf.

განსაზღვრა. მაგალითად, ძალადობასა და უგულებელყოფასთან დაკავშირებული პროცესის დროს ნიუ იორკის შტატში სავალდებულოა ბავშვს წარმოადგენდეს „მის მიერ არჩეული ან დანიშნული“ ადვოკატი[4]. **სასამართლოს ეკისრება პასუხისმგებლობა ბავშვისთვის ადვოკატის დანიშვნასა და იმასთან დაკავშირებით[5], რომ აღნიშნული ადვოკატი იცავდეს ბავშვის პოზიციას.[6]** ბავშვის პოზიციის წარმოდგენასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა, ასევე, განისაზღვრება სამართალდარღვევების საქმეებში მცირეწლოვანთა შესახებ კანონით, რომელიც მოითხოვს, რომ **შერჩეული ადვოკატი იყოს თავგამოდებული დამცველი ბავშვის ინტერესებისა**. სხვა ტიპის წარმოების დროს, როდესაც ბავშვი სუბიექტს წარმოადგენს, ბავშვის ადვოკატმა თავგამოდებით უნდა დაიცვას ბავშვის პოზიცია". ნიუ-იორკის სასამართლოს რეგლამენტი § 7.2(c), (d). **კალიფორნიის კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დაუნიშნოს ბავშვს ადვოკატი ნებისმიერი პროცესის დროს, „თუ იგი არ გადაწყვეტს, რომ აღნიშნული ქმედება უსარგებლოა.” კალიფორნიის კოდექსი კეთილდღეობისა და დაწესებულებების შესახებ** (Cal. Welf. & Inst. Code) § 317(c).

წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი იქნება ნაციონალური სტანდარტები, ზოგიერთი კონკრეტული შტატის მიერ სტანდარტის ან პრაქტიკის განხორციელების მაგალითებთან ერთად. ნაციონალური სტანდარტები, რომლებიც განისაზღვრება მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების, მათ შორის ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის, ბავშვთა ადვოკატების ნაციონალური ასოციაციისა და არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოს მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს მიერ, სასარგებლო რესურსია ბავშვთა ადვოკატების ძირითადი ვალდებულებებისა და ეთიკური საკითხების განსახილველად.

ბავშვის ადვოკატის განსაზღვრება

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის- „ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეებში ბავშვთა წარმომადგენელ ადვოკატთა პრაქტიკის სტანდარტების“ შესაბამისად, ბავშვის ადვოკატი განისაზღვრება, როგორც **„ადვოკატი, რომელიც სამართლებრივ მომსახურებას უწევს ბავშვს და რომელსაც ეკისრება მტკიცე ერთგულების, კონფიდენციალურობისა და კომპეტენტური წარმომადგენლობის**

[4] N.Y. Family Court Act Sec. 241. (ნიუ-იორკი. კანონი საოჯახო სასამართლოს შესახებ. მუხ. 241)
[5] Id.a t Sex. 249 (a).
[6] N.Y. Court Rules Sec 7.2(c) and (d). (ნიუ-იორკი. სასამართლოს რეგლამენტი. მუხ. 7.2(c) და (d))

ისეთივე მოვალეობები ბავშვის მიმართ, როგორიც ზრდასრული მარწმუნებლის წინაშე."[7] აღნიშნული სტანდარტის განმარტებებში კიდევ უფრო მეტად არის ხაზგასმული,

> **„სტანდარტი პირდაპირ აღიარებს, რომ ბავშვი არის დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც, სავარაუდოდ, აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი აზრები. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის დამოუკიდებელი ხმის გაგონება, ბავშვის ადვოკატმა უნდა დაიცვას ბავშვის მიერ გამოხატული პოზიცია."**[8]

საპროცესო წარმომადგენელი კი განისაზღვრება, როგორც **"სასამართლოს თანამშრომელი, რომელიც ინიშნება ბავშვის ინტერესების დასაცავად ისე, რომ არ იყოს შეზღუდული ბავშვის მიერ გამოხატული სურვილებით."**[9] აღნიშნული ორი სტანდარტი განსხვავდება იმის მიხედვით, მოცემული პროცესის დროს ადვოკატი ბავშვის სამართლებრივ ინტერესებს იცავს თუ მის საუკეთესო ინტერესებს, მაგრამ თანმიმდევრულია ბავშვთა წარმომადგენლობის დროს არსებული ეთიკური ვალდებულებებისა და სამუშაოს მასშტაბის თვალსაზრისით.

სამართლის დარგის პროფესიულ და აკადემიურ წრეებში მნიშვნელოვანი დისკუსია მიმდინარეობს, უნდა იყოს თუ არა მეტყველების უნარის მქონე ბავშვის ადვოკატი მარწმუნებელზე ორიენტირებული წარმომადგენლობის განხორციელებისას ზრდასრულთა წარმოდგენის დროს არსებული ეთიკური და პროფესიული ვალდებულებების მსგავსად, თუ ადვოკატმა უნდა გამოიყენოს განსჯა ბავშვის საუკეთესო ინტერესების წარმოდგენის მიზნით, თავად ადვოკატის გადაწყვეტილებისამებრ.

ბავშვთა ადვოკატზე ვრცელდება იგივე ეთიკური წესები და შეზღუდვები, რომლებიც ზრდასრულთა ადვოკატზე.

> **უმნიშვნელოვანესია გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი ეთიკის შეზღუდვა ან მისგან გათავისუფლება არ არის მიზანშეწონილი მხოლოდ იმიტომ, რომ ადვოკატი წარმოადგენს 18 წლამდე ასაკის ბავშვს.**

მართალია, ბავშვის წარმომადგენლობის ფორმატი და ტიპი განსხვავდება საქმის პოზიციიდან, ბავშვის ასაკისა და კომპეტენციიდან გამომდინარე, თუმცა

---

[7] American Bar Association, Standard of Practice for Lawyers who Represent Children in Abuse and Neglect Cases, Part 1, A-1. (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, სტანდარტული პრაქტიკა იურისტებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ბავშვებს ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეებში, ნაწილი 1, A-1.)

[8] Id. at A-1 Commentary. (Id. A-1 განმარტებები)

[9] Id. at A-2.

ეთიკური ვალდებულებები თანმიმდევრული რჩება იმ თვალსაზრისით, რომ ადვოკატმა უნდა დაიცვას სამართლებრივი ეთიკის იგივე წესები მარწმუნებლის მიმართ კონფიდენციალურობისა და თავგამოდებული წარმომადგენლობის ვალდებულებებთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით, იმის მიუხედავად, წარმოადგენთ მსხვერპლ ბავშვს, რომელმაც ჩვენება უნდა მისცეს სისხლის სამართლის საქმეზე, მოზარდს, რომელსაც ბრალად ედება არასრულწლოვანთა დანაშაული თუ ბავშვს მშობლების მზრუნველობის გარეშე, ადვოკატისა და მისი მარწმუნებლის (ბავშვის) ურთიერთობაზე ვრცელდება ეთიკური ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც ხელმძღვანელობს ყველა ადვოკატი, მათ შორის კონფიდენციალურობა,თავგამოდებული წარმომადგენლობა, ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილება და დამოუკიდებელი სამართლებრივი დახმარება.

ბავშვის ადვოკატმა უნდა დაიცვას ეთიკური წესები, რომლებიც კრძალავს კომუნიკაციას საქმის განმხილველ მოსამართლესთან მეორე მხარის ცოდნისა და მონაწილეობის გარეშე და მარწმუნებლისგან კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციისა და კონფიდენციალური ნაშრომის გამჟღავნებას, რაც დაუშვებელია ზრდასრული მარწმუნებლის შემთხვევაში. მაგალითად, ბავშვის ადვოკატს არ აქვს უფლება ცალკე, სხვა მხარეთა დაუსწრებლად, ესაუბროს მოსამართლეს ბავშვის ახლანდელი მდგომარეობის ან მისი სურვილების შესახებ. ამასთან, ბავშვის ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს მარწმუნებლისგან კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია ბავშვის (რომელსაც შეუძლია სიტყვიერი თანხმობის მიცემა) პირდაპირი ნებართვის გარეშე.

ამასთან, ბავშვის ადვოკატს რჩება დამოუკიდებელი ვალდებულება, რათა განსაზღვროს როგორც ფაქტობრივ, ასევე პოტენციურ ინტერესთა შეუთავსებლობა, რაც აბრკოლებს მარწმუნებლის ეთიკურ და თავგამოდებით წარმოდგენას. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას დებს/ძმებს/და-ძმას შორის საქმეზე, რომელშიც ერთი ბავშვი მეორისგან განსხვავებულ პოზიციას წარმოადგენს, ანდა, თუ ადვოკატს წარსულში სამართლებრივი ურთიერთობა ჰქონდა მშობელთან ან მეურვესთან, რაც გამორიცხავს ადვოკატის შესაძლებლობას, რომ ახალ საქმეში წარმოადგინოს ბავშვის ინტერესები. ისეთ საქმეებში, რომლებშიც დების/ ძმების/და-ძმის ინტერესები განსხვავდება, ეთიკურად არამიზანშეწონილია ბავშვის ადვოკატის მიერ დების/ძმების/და-ძმის ჯგუფური წარმომადგენლობის გაგრძელდება და ამის ნაცვლად თითოეული ბავშვისთვის უნდა გამოიყოს ცალკე ადვოკატი. ეს უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის თავგამოდებით დაცვას და ბავშვის პოზიციის გათვალისწინებას მისი ადვოკატის მიერ. ცალკე ადვოკატის დაუნიშნაობა ან მცდელობა, რომ ბავშვების განსხვავებული ინტერესები შეჯერდეს ჯგუფის შიგნით, კატეგორიულად

ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებას, მიიღოს დამოუკიდებელი სამართლებრივი წარმომადგენლობა საქმესთან დაკავშირებით.

ბავშვთა წარმომადგენელი ადვოკატის ვალდებულებები

არასრულწლოვანი მარწმუნებლის თავგამოდებით დაცვის ვალდებულება ბავშვთა ეფექტური და ეთიკური წარმომადგენლობის ურყევი ვალდებულებაა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მარწმუნებელი არასრულწლოვანია, ნებისმიერი კეთილსინდისიერი სასამართლო პროცესისთვის აუცილებელია, რომ ადვოკატებმა არასრულწლოვანი მარწმუნებელი ისეთივე გულმოდგინებით, ყურადღებითა და მონდომებით წარმოადგინონ, როგორითაც ზრდასრული მარწმუნებელი.

მართლაც, ბავშვთა ადვოკატის პროფესიონალიზმის კრიტერიუმები არც ისე შორს დგას ნებისმიერი ადვოკატის კრიტერიუმებისგან. თავგამოდებული იურისტობისათვის საჭირო პროფესიული ეთიკა და პასუხისმგებლობა ერთი და იგივეა მარწმუნებლის ასაკის მიუხედავად და ხარისხიანი პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენს. თუმცა ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე არსებობს დამატებითი მახასიათებლები.

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ბავშვთა სამართლის ცენტრის განსაზღვრებით, ბავშვთა ადვოკატის „პროფესიონალიზმის მახასიათებლებია“:

- ✓ **ესმოდეს ბავშვის ინტერესები საქმეში.**
- ✓ **ესმოდეს ბავშვის ძლიერი მხარეები, საჭიროებები და რესურსები.**
- ✓ **უზრუნველყოს ბავშვის შესაძლებლობა, დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო მოსმენებში.**
- ✓ **დაიცვას ბავშვის მიერ კავშირის შენარჩუნება მშობლებთან, და-ძმასთან და ნათესავებთან მონახულებისა და მუდმივი მზრუნველობის დაგეგმვის მეშვეობით.**
- ✓ **იმუშაოს სხვა მეორეულ საკონტაქტო პირებთან - მასწავლებლები, მინდობით აღმზრდელები, მომსახურების მიმწოდებლები.**

- ✓ **ითანამშრომლოს მრავალპროფილურ გუნდთან.**
- ✓ **მხარი დაუჭიროს საქმეზე მორგებულ სპეციალურ გეგმებსა და მომსახურებას.**
- ✓ **დაიცვას ბავშვისათვის განათლებისა და თემის ხელმისაწვდომობა[10].**

მართალია, ეს მახასიათებლები შესაძლოა ბუნებრივი ჩანდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, დეტალურად განისაზღვროს, თუ რა პრაქტიკული ზომებია საჭირო იმისათვის, რომ ადვოკატი თავგამოდებით იცავდეს არასრულწლოვან მარწმუნებელს. სხვა სიტყვებით, რა კონკრეტული ამოცანები და ვალდებულებები უნდა შეასრულოს ბავშვთა ადვოკატმა თითოეულ საქმესთან დაკავშირებით? რას ნიშნავს მარწმუნებლის თავგამოდებით დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მარწმუნებელი ბავშვი ან მოზარდია? როგორ ესმის ბავშვის ადვოკატს ბავშვის სურვილები ან როგორ თანამშრომლობს მეორეულ საკონტაქტო პირებსა და მრავალპროფილურ გუნდთან ბავშვის სახელით?

ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხი გულისხმობს ადვოკატის საქმიანობას იმავე ფუნდამენტური უნარებით, რომლებსაც ყველა ადვოკატი იყენებს მარწმუნებლის ასაკისა და კონკრეტული სამართლებრივი საკითხისგან დამოუკიდებლად. უკეთ რომ განვმარტოთ, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სტანდარტები აყალიბებს ბავშვთა ადვოკატის ძირითად ვალდებულებებს, მათ შორის (აქცენტები ეკუთვნის ავტორს):

რას ნიშნავს მარწმუნებლის თავგამოდებით დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მარწმუნებელი ბავშვი ან მოზარდია:

- ➢ ყველა მოთხოვნისა და შესაბამისი სარჩელის ასლების მიღება.
- ➢ ზეპირი ჩვენების მიცემაში, მოლაპარაკებებში, საქმის მასალების გაცნობაში, წინასასამართლო სხდომებსა და მოსმენებში მონაწილეობა.
- ➢ სხვა მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ინფორმირება, რომ ადვოკატი წარმოადგენს ბავშვს და მოელის შეტყობინებას გონივრული ვადით ადრე წინასასამართლო სხდომის, განთავსების ცვლილებებისა და სხვა გარემოებების ცვლილებების შესახებ, რომლებიც ეხება ბავშვსა და ბავშვის ოჯახს;

[10] ABA Center on Children and the Law, *Legal Representation in Child Welfare Proceedings* (ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ბავშვებთა სამართლის ცენტრი, *სამართლებრივი წარმომადგენლობა ბავშვთა კეთილდღეობის საქმეებთან დაკავშირებით*) (დანართი).

- საქმის დაგვიანების შემცირების მცდელობა და უზრუნველყოფა, რომ სასამართლომ აღიაროს ბავშვის მუდმივი განთავსების სწრაფი ხელშეწყობის საჭიროება;
- ბავშვისთვის კონსულტაციის გაწევა სასამართლო საქმის შინაარსის, ბავშვის უფლებების, სასამართლო სისტემის, სამართალწარმოების, ადვოკატის როლისა და სასამართლო პროცესთან დაკავშირებული მოლოდინების შესახებ;
- მოსმენების დროს განსახორციელებელი საქმის თეორიისა და სტრატეგიის შემუშავება ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების ჩათვლით;
- ბავშვისთვის სათანადო ოჯახური და პროფესიული რესურსების განსაზღვრა.[11]

შტატის პრაქტიკის მაგალითი (პენსილვანიის შტატი)

პენსილვანიის შტატში ბავშვთა ადვოკატი ენიშნება ბავშვს, რომელიც მონაწილეობს მშობლის უფლების შეზღუდვასთან/ჩამორთმევასთან დაკავშირებულ პროცესში, მშობლის ან მეურვის მხრიდან საეჭვო ძალადობის, უგულებელყოფის ან არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. **პენსილვანიის კანონმდებლობით, ბავშვთა ადვოკატი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს წარმოადგენს სასამართლო პროცესის დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ იზღუდება არასრულწლოვანი მარწმუნებლის კანონიერი ინტერესით ან გამოთქმული სურვილით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს სურვილი ეწინააღმდეგება ადვოკატის გადაწყვეტილებას ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებით**. მიუხედავად ამისა, შტატის კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს ყველა ზომას, რომლებიც უნდა მიიღოს ბავშვის ადვოკატმა (კანონში მოხსენიებულია, როგორც საპროცესო წარმომადგენელი) და ადგენს ერთგვაროვან სტანდარტს ბავშვთა წარმომადგენლობის პრაქტიკასთან დაკავშირებით (აქცენტები ეკუთვნის ავტორს):

"საპროცესო წარმომადგენელი ვალდებულია:

- 1151 წესის შესაბამისად, დანიშვნის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად მოინახულოს და შემდეგ რეგულარულად ხვდებოდეს მას, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია ბავშვის ასაკის შესაბამისად;

[11] Id. B-1 (including commentary that the "child's attorney should not be merely a fact-finder, but rather should zealously advocate a position on behalf of the child.") (მათშორის განმარტება, რომ „ბავშვის ადვოკატი არუნდა იყოს მხოლოდ ფაქტების მომძიებელი, არამედ ითავგამოუბითუნდა იცავდეს პოზიციას ბავშვის სახელით")

- დროულად მიიღოს წვდომა სასამართლოსა და ოლქის სააგენტოს შესაბამის მასალებზე, ბავშვისა და მეურვის დაკითხვის ანგარიშებზე, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სასკოლო მასალებზე;

- მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის სამართალწარმოებაში, მათ შორის არასრულწლოვანთა სასამართლოში გამართულ ზეპირ მოსმენებში, ადმინისტრაციულ მოსმენებსა და განხილვებში იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ბავშვის სათანადო წარმომადგენლობისთვის;

- ჩაატაროს დამატებითი გამოძიება, რამდენადაც ეს საჭიროა ფაქტების დასადგენად;

- გაესაუბროს პოტენციურ მოწმეებს, მათ შორის ბავშვის მეურვეებს, მზრუნველებს, მინდობით აღმზრდელებს, დაკითხოს მოწმეები ჯვარედინი დაკითხვის პრინციპით და წარადგინოს საჭირო მოწმეები და მტკიცებულებები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად;

- ბავშვზე სამართლებრივი მეურვეობის მქონე საოლქო სააგენტოსგან უმოკლეს ვადებში მიიღოს მითითებები:

  - ბავშვის გადაადგილების ან მეურვეობისა და მონახულების წესის შეცვლის, მათ შორის მიზეზების შესახებ გადაადგილებამდე ან მეურვეობისა და მონახულების წესის შეცვლამდე;
  - ნებისმიერი პროცესის, გამოძიების ან მოსმენის შესახებ ბავშვთა დამცავი მომსახურებების შესახებ კანონის (Child Protective Services Law, 23 Pa.C.S. § 6301 *et seq.* (ბავშვთა დამცავი მომსახურებების შესახებ კანონი, პენსილვანიის კანონთა კოდექსი, ნაწილი 23 § 6301 *და შემდგომ*)) ან მცირეწლოვანთა შესახებ კანონის (Juvenile Act 42 Pa.C.S. § 6301 *et seq.* (მცირეწლოვანთა შესახებ კანონი, პენსილვანიის კანონთა კოდექსი, ნაწილი 42, § 6301 და შემდგომ)) შესაბამისად, რომლებიც უშუალოდ ეხება ბავშვებს;

- სასამართლოს მისცეს კონკრეტული რეკომენდაციები ბავშვის განთავსებისა და ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი სერვისების, მათ შორის ბავშვის საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვისა და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საჭიროებების მიზანშეწონილობისა და უსაფრთხოების შესახებ;

- განუმარტოს ბავშვს სამართალწარმოება იმდენად, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია ბავშვის ასაკის, ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის შესაბამისად;

- კონსულტაცია გაუწიოს სასამართლოს ბავშვის სურვილებთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია აღნიშნულის დადგენა და ბავშვის სურვილების შესახებ არსებული მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარდგენა. მიზანშეწონილია ბავშვის ასაკის, ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად განსაზღვროს ბავშვის სურვილები და მიაწოდოს ეს ინფორმაცია სასამართლოს[12]

- არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხებში პენსილვანიის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ადვოკატმა, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდას არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხებთან დაკავშირებით, შეასრულოს ქვემოთ მოცემული მითითებები (აქცენტები ეკუთვნის ავტორს):

"A. ადვოკატის როლი. ადვოკატი, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვანს წინამდებარე წესებისა და არასრულწლოვანთა შესახებ კანონის შესაბამისად, (Rules and the Juvenile Act, 42 Pa.C.S. § 6301 et seq. (წესებისა და არასრულწლოვანთა შესახებ კანონი, პენსილვანიის კანონთა კოდექსი, ნაწილი 42, § 6301 და შემდგომ)) ვალდებულია:

1) თავგამოდებით და კომპეტენტურად წარმოადგინოს მცირეწლოვანი სამართალწარმოების ყველა ეტაპზე;
2) განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილი ფორმით გაუწიოს კონსულტაცია არასრულწლოვანს და ჰქონდეს მასთან მუდმივი კომუნიკაცია;
3) სათანადო შემთხვევაში, არასრულწლოვანთან ერთად განიხილოს და შეავსოს ბრალის აღიარების დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება 407-ე წესის შესაბამისად;
4) გამოვიდეს არასრულწლოვნის პროცესზე, როდესაც არ ხდება ბრალის აღიარება და დაიცვას მასალები გასაჩივრებისთვის.

[12] Pennsylvania Rules of Juvenile Court Procedure Rule 1154 (პენსილვანიის შტატის არასრულწლოვანთა სასამართლოს რეგლამენტი, წესი 1154)

B. ეთიკური ვალდებულებები არასრულწლოვნის მიმართ -ადვოკატს ეკისრება ეთიკური და პროფესიული ვალდებულებები და არაარასრულწლოვნის მეურვეობის ვალდებულება.” [13]

გავრცელებული თემები, რომლებიც ჩნდება ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეროვნული სტანდარტებისა და კონკრეტული შტატების მაგალითების განხილვის შედეგად, არის ბავშვთა ეთიკური და კომპეტენტური წარმომადგენლობის მყარი და დეტალური ხასიათი. მართლაც, აშკარაა, რომ ბავშვთა წარმომადგენლობა ასახავს ზრდასრულ მარწმუნებელთა წარმომადგენლობის თითქმის ყველა პრინციპსა და მოთხოვნას, კომპეტენტურობას, გულმოდგინებასა და საფუძვლიანობას საქმის მსვლელობის დროს. ბავშვთა წარმომადგენელი ადვოკატებისთვის აუცილებელია სპეციალური დამატებითი უნარები ეფექტური და ეთიკური სამართლებრივი წარმომადგენლობისთვის აუცილებელ ძირითად მახასიათებლებთან ერთად და არა მათ ნაცვლად.
მართალია, ადრინდელი საკანონმდებლო ნორმები და სტანდარტები განმარტავს ბავშვთა ადვოკატის მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ საქმიანობას და ზომებს, მაგრამ ამასთან ერთად გაწეულია სამუშაო ბავშვთა წარმომადგენლობის ძირითადი კომპეტენციების განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული ძირითადი კომპეტენციები სასარგებლოა არა მხოლოდ იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ბავშვთა ადვოკატის როლი, არამედ ცენტრალური ოფისების ან სხვა უწყებების მნიშვნელობა სწავლებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა, რომელიც შემუშავებულია ხარისხის გაუმჯობესების ცენტრის ფარგლებში ბავშვთა ადვოკატების ეროვნულ ასოციაციასთან, მიჩიგანის უნივერსიტეტსა და აშშ-ის ბავშვთა ბიუროსთან ერთად, მიმოიხილავს ძირითად კომპეტენციებს ბავშვთა წარმომადგენლობის საკითხებში და ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს ძირითად უნარს:

[13] Pennsylvania Rules of Juvenile Court Procedure Rule 153 “Role of Counsel”. (პენსილვანიის შტატის არასრულწლოვანთა სასამართლოს რეგლამენტი, წესი 153 „ადვოკატის როლი“)



ბავშვის სამყაროს შეცნობა: ბავშვთან, კომუნიკაცია, მისი საჭიროებების გაგება, მისთვის რჩევების მიცემა, მისი ხელმძღვანელობა და მისი საჭიროებების დაცვა, ამავე დროს მის მიერ გამოთქმული ინტერესების გათვალისწინება შტატის კანონმდებლობის შესაბამისად.

***ბავშვის უსაფრთხოების შეფასება* და ბავშვის დაცვა *გადაჭარბებული რეაგირების* გარეშე:** "მოარიდეთ საფრთხე და არა ბავშვი", როდესაც არსებობს ამის შესაძლებლობა ბავშვის უსაფრთხოებისთვის. განასხვავეთ საქმის გეგმა უსაფრთხოების გეგმისგან.

აქტიურად შეაფასეთ საჭიროებები: ხელი შეუწყვეთ ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროებების სათანადო შეფასებას. განსაზღვრეთ პრობლემა.

საქმის დაგეგმვა: ხელი შეუწყვეთ საქმის სათანადო გეგმის შემუშავებას.

***შეიმუშავეთ საქმის თეორია*:** შეიმუშავეთ საქმის აქტიური და პერსპექტიული თეორია. რა ხდება აქ? აირჩიეთ და გამორიცხეთ საქმესთან დაკავშირებული ალტერნატიული და ფრთხილი თეორიები. იძლევა მიმართულებას დაცვისთვის.

***ეფექტური დაცვა*:** ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენეთ დაცვის შედეგები, რომლებიც იყენებს პრობლემების გადაჭრას და არაშეჯიბრებით მიდგომებს - მაგრამ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს ტრადიციულ შეჯიბრებით მიდგომებს.[14]

[14] National Association of Counsel for Children QIC-Child Rep, Best Practice Model Six Core Skills, (ბავშვთა ადვოკატების ეროვნული ასოციაცია QIC-ბავშვთა წარმომადგენლობა, საუკეთესო პრაქტიკის მოდელის ექვსი ძირითადი უნარი) ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.improvechildrep.org/QICModelSixCoreSkills/SixCoreSkills.aspx

მართალია, სტანდარტები და ძირითადი კომპეტენციები ბავშვთა ეთიკური და ეფექტური წარმომადგენლობის მკაფიო გზაა, მაგრამ არ შეიძლება ჯეროვნად არ შეფასდეს აღნიშნული პრაქტიკისთვის ინსტიტუციური მხარდაჭერის მნიშვნელობა. სტანდარტებისა და ეთიკური ვალდებულებების გაძლიერება აუცილებელია სასამართლოებისა და სამართლის დარგის სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, რათა ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა და საბოლოო კონსენსუსი ბავშვთა წარმომადგენლობის სათანადო მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან, ბავშვთა ადვოკატებს სჭირდებათ მხარდაჭერა და რესურსები, რათა მათ შეძლონ საკუთარი სამუშაოს შესრულება ისე, როგორც ამას სტანდარტები და კომპეტენციები ითვალისწინებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ზოგადი კონსენსუსი, რომ ბავშვთა ცენტრალური იურიდიული ოფისები უკეთეს შედეგებს აღწევენ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის და ხელს უწყობენ ხარისხიან სამართლებრივ წარმომადგენლობას აღნიშნულ სისტემაში.[15] ცენტრალიზებული ოფისი სხვადასხვა მოდელს გულისხმობს, მაგრამ არსებითად იგი განისაზღვრება, როგორც ადვოკატთა ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს სხვა დარგის პროფესიონალებთან, მათ შორის სოციალურ მუშაკებთან, გამომძიებლებსა და დამხმარე იურიდიულ პერსონალთან ერთად საერთო ინფრასტრუქტურისა და პროფესიული მხარდაჭერის სისტემაში. განსხვავებულია ცენტრალური ოფისის დაფინანსების წყაროები - ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი ოფისი ფინანსდება შტატის, ადგილობრივი ოლქის ან კერძო ფონდის მიერ, თუმცა ცენტრალური ოფისი უზრუნველყოფს ადვოკატის სამუშაოს მხარდაჭერის ძირითად სერვისებს და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს უფრო მეტ სწავლებას, თანმიმდევრულობას და შესრულებული სამუშაოს უფრო მაღალ კონტროლს.

ცენტრალიზებული ოფისი ასევე სასარგებლოა ადვოკატის სათანადო სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის თვალსაზრისითაც, რათა მათ შეძლონ წარმომადგენლობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება და შეასრულონ ეთიკური ვალდებულებები. მაგალითად, არ არის რეალისტური, რომ ბავშვთა ადვოკატი ასზე მეტ საქმეს უძღვებოდეს, რაც გამორიცხავს მის შესაძლებლობას

[15] Mimi Laver and Cathy Krebs, The Case for a Centralized Office for Legal Representation in Child Welfare Cases (მიმი ლივერი და კატი კრებსი, ბავშვთა კეთილდღეობის საქმეებთან დაკავშირებით სამართლებრივი წარმომადგენლობისთვის ცენტრალიზებული ოფისის მნიშვნელობის სასარგებლო არგუმენტები) (2020 წლის 2 დეკემბერი) (ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.americanbar.org/groups/public_interest/child_law/resources/child_law_practiceonline/january---december-2020/the-case-for-a-centralized-office-for-legal-representation-in-ch/) (detailing the reasons supporting a centralized legal office for children and providing specific state examples of models) (ბავშვთა ცენტრალიზებული ოფისის მხარდაჭერის მიზეზების დეტალური ჩამოთვლა და ცალკეული შტატების კონკრეტული მოდელების მაგალითების მოყვანა)

რეგულარულად და ინდივიდუალურად შეხვდეს თითოეულ მარწმუნებელს, მოიპოვოს დამოუკიდებელი ინფორმაცია და განიხილოს ყველა შესაბამისი მასალა ბავშვის დაცვის პროცესში როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნები შემდეგნაირად განსაზღვრავს ცენტრალიზებული იურიდიული ოფისის სარგებელს ბავშვებისთვის:

- როლისა და მოლოდინების მკაფიოდ განსაზღვრა.
- გონივრული სამუშაო დატვირთვის დადგენა.
- სამართლიანი კომპენსაციისა და სარგებლის შეთავაზება.
- სტანდარტული პრაქტიკის განხორციელება.
- ბავშვთა კეთილდღეობის სამართლის საკითხებში სპეციალიზებული სამართლებრივი სწავლების უზრუნველყოფა.
- ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა.
- მარწმუნებელთა შენიშვნების მიღება წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.
- ადვოკატებისთვის წარმომადგენლობის ინტერდისციპლინური მოდელის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[16]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა ეთიკური წარმომადგენლობის საკითხები მკაფიოდ და უპირველესად განსაზღვრავს იმ საკითხს, რომ ბავშვის ადვოკატი ეწევა დამოუკიდებელ საადვოკატო პრაქტიკას და მასზე ვრცელდება იგივე სამართლებრივი ვალდებულებები და შეზღუდვები. ნებისმიერი სტანდარტი და პროცედურა, რომლებიც დადგენილია ბავშვთა ადვოკატისთვის, უნდა აკმაყოფილებდეს იმ ძირითად ფუნდამენტურ მოცემულობას, რომ ბავშვთა ადვოკატი ზოგადად ადვოკატია და, მართალია, მას შეიძლება ესაჭიროებოდეს სპეციალური მომზადება ბავშვთა წარმომადგენლობის მიზნით, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს მისი საადვოკატო საქმიანობისა და წარმომადგენლობის მხარდაჭერის და არა ჩანაცვლების მიზნით.

ბავშვი, როგორც მოწმე

[16] American Bar Association Center on Children and the Law, *Legal Representation in Child Welfare Proceedings* (ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ბავშვთა სამართლის ცენტრი, *სამართლებრივი წარმომადგენლობა ბავშვთა კეთილდღეობის პროცესებში*) (ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/child_law/cwrepinfographic.pdf)

ხშირ შემთხვევაში, ბავშვი არის მსხვერპლი ან/და მოწმე სასამართლო განხილვის დროს, რაც განსხვავდება იმ შემთხვევისგან, როდესაც ბავშვი პროცესის სუბიექტია, მაგალითად, მეურვეობის/მზრუნველობის საქმეებში, ან პროცესის მხარეა, მაგალითად, ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეებში. მაგალითისათვის, სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება მონაწილეობდეს მსხვერპლი ბავშვი, რომელიც ჩვენებას აძლევს ბრალდებულის ქმედებებთან დაკავშირებით. თუ ბრალდებულს წაყენებული აქვს სისხლის სამართლის ბრალდება ათი წლის ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილ სექსუალურ და ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით, ბრალდების მხარეს, სავარაუდოდ, დასჭირდება აღნიშნული ბავშვის ჩვენების მიღება ბრალდებულის ქცევასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანი მოწმე ისეთივე სიმკაცრით ექვემდებარება ჯვარედინ დაკითხვას, როგორითაც სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერი მოწმე, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეექვსე შესწორებით განსაზღვრული უფლების შესაბამისად, რომ ბრალდების ნებისმიერი მოწმე დაიკითხოს ბრალდებულის წინაშე. ამ შემთხვევაში, არასრულწლოვანი მსხვერპლი/მოწმე ექვემდებარება მკაცრ ჯვარედინ დაკითხვას ბრალდებულის დამცველის მხრიდან, რომელიც ეცდება, ბავშვის ისტორიის, მისი სანდოობისა და მეხსიერების დისკრედიტაციას .

რადგან აღიარებულია, რომ ბავშვი განსხვავებული მსხვერპლი და მოწმეა, ორმოცდაათივე შტატისა და ფედერალური კანონმდებლობით სპეციალური კანონები მოქმედებს არასრულწლოვანი მოწმის კომპეტენტურობასთან და, შესაბამისად, მის უნართან დაკავშირებით, მისცეს ჩვენება სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს. ფედერალური კანონის თანახმად, ყველა პირი კომპეტენტურად მიიჩნევა ჩვენების მისაცემად და მხოლოდ ასაკის ფაქტორი არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ბავშვს აეკრძალოს ჩვენების მიცემა.[17] თუმცა, როგორც შტატის, ასევე ფედერალური კანონები ითვალისწინებს დებულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ *როგორ* უნდა იქნას მიცემული ჩვენება სასამართლოში. კანონმდებლობა აღიარებს ბავშვის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემის განსაკუთრებულ საკითხებს და არასრულწლოვანი მსხვერპლის ან არასრულწლოვანი მოწმის ტრავმის გაზრდის ალბათობას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გათვალისწინებული აღნიშნული დამატებითი საკითხები. მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითისათვის, სასარგებლოა ქვემოთ მოცემული ფედერალური კანონის განხილვა, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის მიერ სასამართლო პროცესზე ჩენების მიცემის ალტერნატიულ ვარიანტებს. ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც კანონით დასაშვებია, არის ჩვენების მიცემა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით.

[17] 18. U.S.C. Sec. 3509 (აშშ კოდექსი, ნაწილი 18. მუხლი 3509) (რომელი პუნქტი)

(1) ბავშვის მიერ ჩვენების მიცემა პირდაპირ ეთერში ორმხრივი ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით.

(A) ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილ საეჭვო დანაშაულთან დაკავშირებული პროცესის დროს ბრალდების მხარეს, ბავშვის ადვოკატს ან მეურვეს, ან მის საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც ინიშნება (h) პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს მოითხოვოს ბავშვის მიერ ჩვენების მიცემა სასამართლოს დარბაზის გარეთ, რაც გადაიცემა ორმხრივი ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით. მსგავსი მოთხოვნით აუცილებელია მიმართონ სასამართლო პროცესის დაწყებამდე მინიმუმ 7 დღით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სასამართლო ოფიციალურად არ დაადგენს, რომ ასეთი მოთხოვნა გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყო.

(B) სასამართლოს უფლება აქვს გადაწყვიტოს, რომ ბავშვმა ჩვენება უნდა მისცეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით (A) პუნქტის შესაბამისად, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ ბავშვს არ შეუძლია ჩვენების მიცემა სასამართლოს ღია სხდომაზე ბრალდებულის თანდასწრებით ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზით:

- ბავშვს არ შეუძლია ჩვენების მიცემა შიშის გამო.
- არსებობს მნიშვნელოვანი ალბათობა, რომელიც დადგენილია ექსპერტის ჩვენებით, რომ ბავშვი მიიღებს ემოციურ ტრავმას ჩვენების მიცემის შედეგად.
- ბავშვს აქვს ფსიქიკური ან სხვა ტიპის პრობლემა.
- ბრალდებულის ან დამცველის ქცევის შედეგად ბავშვს არ შეუძლია გააგრძელოს ჩვენების მიცემა.[18]

ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით ჩვენების მიცემის ნებართვის გარდა, ბავშვის ემოციური კეთილდღეობის დასაცავად ფედერალური კანონი განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იმყოფებოდეს ოთახში ბავშვთან ერთად ჩვენების მიცემის პროცესში, მათ შორისა „ზრდასრული თანმხლები პირი“, რომლის მიზანია პროცესის დროს ბავშვის ემოციური მხარდაჭერა.

(D) თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ ბავშვმა ჩვენება უნდა მისცეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით, ბრალდების მხარე და ბრალდებულის დამცველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე საკუთარ თავს

[18] 18 U.S.C. Sec. 3509 (აშშ-ის კოდექსი, ნაწილი 18, მუხლი 3509) (ფედერალური კანონი განსაზღვრავს არასრულწლოვანი მსხვერპლისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებებს)

იცავს, სასამართლოს ოთახის გარეთ ბავშვთან ერთად იმყოფებიან და ახორციელებენ ბავშვის პირდაპირ ჯვარედინ დაკითხვას. ბავშვთან ერთად და ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის დროს ოთახში დასაშვებია იმყოფებოდეს მხოლოდ —

(i) ბავშვის ადვოკატი ან საპროცესო წარმომადგენელი, რომელიც დანიშნულია (h) ქვეპუნქტის შესაბამისად;
(ii) პირები, რომელთა ყოფნა აუცილებელია ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ფუნქციონირების მიზნით;
(iii) სასამართლოს მიერ დანიშნული სასამართლოს თანამშრომელი; და
(iv) სხვა პირები, რომელთა დასწრება განისაზღვრება სასამართლოს მიერ ბავშვის კეთილდღეობისთვის, მათ შორის ზრდასრული თანმხლები პირი.

ფედერალური კანონი ასევე ითვალისწინებს სიტუაციებს, როდესაც ბავშვს არ შეუძლია სასამართლოში ჩვენების მიცემა არც სასამართლოს დარბაზში და არც ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევებში, კანონი ითვალისწინებს ალტერნატიულ შესაძლებლობებს, რათა ბავშვმა დეპონირებული ჩვენება მისცეს ვიდეოჩანაწერის მეშვეობით.

(2) ბავშვის დეპონირებული ჩვენება ვიდეოჩანაწერით.

(A) ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილ საეჭვო დანაშაულთან დაკავშირებული პროცესის დროს ბრალდების მხარეს, ბავშვის ადვოკატს, ბავშვის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, ან მის საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც ინიშნება (h) პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს მოითხოვოს ბავშვის_მიერ დეპონირებული ჩვენების მიცემა, აღნიშნული დეპონირებული ჩვენების ვიდეოჩაწერა და შენახვა.

(B)(i) (A) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დროული მიღების შემთხვევაში, სასამართლო წინასწარ ადგენს, რამდენად სავარაუდოა, რომ ღია სასამართლო პროცესის დროს ბავშვმა ვერ შეძლოს ჩვენების მიცემა ბრალდებულის, ნაფიცი მსაჯულების, მოსამართლისა და საზოგადოების თანდასწრებით ქვემოთ მოცემული რომელიმე მიზეზით:

(I) ბავშვს არ შეუძლია ჩვენების მიცემა შიშის გამო.
(II) არსებობს მნიშვნელოვანი ალბათობა, რომელიც დადგენილია ექსპერტის ჩვენებით, რომ ბავშვი მიიღებს ემოციურ ტრავმას ღია სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემის შედეგად.
(III) ბავშვს აქვს ფსიქიკური ან სხვა ტიპის სისუსტე.

(IV) ბრალდებულის ან დამცველის ქცევის გამო ბავშვს არ შეუძლია გააგრძელოს ჩვენების მიცემა.

ზემოთ მოცემულია სისხლის სამართლის პროცესის დროს, ერთი მხრივ, ბავშვის ჩვენების გამოყენების, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის კეთილდღეობის შეძლებისდაგვარად დაცვის ალტერნატიული საშუალებების ზოგიერთი მაგალითი. ბავშვთა ადვოკატმა, პროკურორმა და სასამართლომ გულდასმით უნდა განიხილონ ალტერნატიული ვარიანტები, რათა ხელი შეუწყონ არასრულწლოვანი მოწმის მიერ ჩვენების მიცემას და ამავე დროს დაიცვან სათანადო სამართალწარმოების პროცესი ბრალდებულისათვის. პოტენციური ალტერნატივების განხილვისას განსაკუთრებით სასარგებლოა ახალი კვლევების გამოყენება ტრავმის, მათ შორის იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება აისახოს ბავშვზე, როდესაც ის ხდება ძალადობის მომსწრე და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ჩვენების მიცემამ და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობამ. სასარგებლო რესურსია ამერიკის პედიატრთა აკადემიის განცხადება არასრულწლოვან მოწმეებთან დაკავშირებით, რომელშიც შეჯამებულია არსებული კვლევები და მოცემულია რეკომენდაციები სასამართლოებისა და პედიატრებისთვის, რათა დაეხმარონ ბავშვს და მინიმუმამდე შეამცირონ ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის უარყოფითი ასპექტები.[19]

საუკეთესო პრაქტიკა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას

ბავშვის წარმომადგენლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული ასპექტია მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა ადვოკატის მიერ. საუკეთესო ინტერესების ცნება ფართოდ არის გავრცელებული ბავშვთა კეთილდღეობის, მცირეწლოვანთა დანაშაულისა და მეურვეების/მზრუნველობის საქმეებში, მაგრამ არ არსებობს საუკეთესო ინტერესების სტანდარტი ანდა საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ამის საპირწონედ შტატის კანონები ადგენენ ფაქტორებს, გასათვალისწინებელ ასპექტებსა და საკითხებს, რომლებიც საჭიროა განიხილოს სასამართლოს მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად. ცხადია, ბავშვის უსაფრთხოება, როგორც წესი, უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევა საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის დროს. საუკეთესო ინტერესების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესახებ ერთ-ერთი

[19] Robert H. Pantrell, MD, FAAP and Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health, The Child Witness in the Courtroom, *Pediatrics* 2017 , 139(3) e20164008. (რობერტ ჰ. პანტრელ, მედიცინის დოქტორი, ამერიკის პედიატრთა ასოციაციის სამეცნიერო საბჭოდ ბავშვისა და ოჯახის ჯანმრთელობის ფსიქოსოციალური ასპექტების კომიტეტი, არასრულწლოვანი მოწმე სასამართლოს დარბაზში, *პედიატრია* 2017)

ანგარიშის თანახმად, “ როგორც წესი, საუკეთესო ინტერესები აუცილებელია დადგინდეს მრავალი ფაქტორის განხილვის შედეგად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის , მშობლის ან მზრუნველის გარემოებებსა და მშობლის შესაძლებლობას, რომელთა შორის უმთავრესი საზრუნავია ბავშვის უსაფრთხოება და კეთილდღეობა.”[20] შტატის კანონებში გათვალისწინებული ზოგიერთი ფაქტორია: მშობლის შესაძლებლობა უზრუნველყოს ბავშვი უსაფრთხო და სტაბილური სახლით, მათ შორის დააკმაყოფილოს საცხოვრებლის, საკვებისა და ტანსაცმლის მინიმალური მოთხოვნები, სიყვარული ბავშვსა და მშობლებს ან ოჯახის დანარჩენ წევრებს, მათ შორის დებსა და ძმებს შორის, ბავშვისა და მშობლის ინდივიდუალური სამედიცინო და ქცევითი ჯანმრთელობა და ბავშვის მიერ გამოთქმული სურვილები და პრეფერენციები.

შტატის კანონმდებლობით, საუკეთესო ინტერესების განმარტების მაგალითია მერილენდის შტატის კანონი მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული ბავშვისთვის მუდმივი მზრუნველობის გეგმის შემუშავების შესახებ:

“სოციალური სერვისების ადგილობრივი დეპარტამენტი განიხილავს ქვემოთ მოცემულ ფაქტორებს მუდმივი მზრუნველობის გეგმის განსაზღვრის დროს, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია:

- ბავშვის უნარი, იყოს უსაფრთხოდ და ჯანმრთელად ბავშვის მშობლის სახლში. ბავშვის სიყვარული და ემოციური კავშირი ბიოლოგიური მშობლებისა და დების/ძმების მიმართ.

- ბავშვის ემოციური კავშირი ახლანდელ მზრუნველთან და მზრუნველის ოჯახთან.

- არსებულ მზრუნველთან ბავშვის ცხოვრების დრო.

- პოტენციური ემოციური, განვითარებასა და განათლებასთან დაკავშირებული ზიანი ბავშვისთვის იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი გადაყვანა ახლანდელი განთავსების ადგილიდან.

---

[20] Child Welfare Information Gateway. (2020). *Determining the best interests of the child.* Washington, DC: U.S. Department of Health and Human Services, Administration for Children and Families, Children's Bureau. (ბავშვთა კეთილდღეობის საინფორმაციო კარიბჭე. (2020). *ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა*. ვაშინგტონის ფედერალური ოლქი. ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების დეპარტამენტი, ბავშვთა და ოჯახების ადმინისტრაცია, ბავშვთა ბიურო)

- პოტენციური ზიანი ბავშვისთვის ხანგრძლივი პერიოდით სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ დარჩენის შემთხვევაში"[21].

მერილენდის შტატის საუკეთესო ინტერესების განმარტებიდან აშკარაა, რომ ადვოკატმა უნდა განიხილოს მთელი რიგი ფაქტორები, რათა განსაზღვროს მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესები. ეს გადაწყვეტილება ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს და მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ არასრულწლოვან მარწმუნებელზე. როგორც უკვე განვიხილეთ ზემოთ, ადვოკატს ეკისრება ბავშვთან საუბრის პასუხისმგებლობა, რათა დაადგინოს, თუ რა მდგომარეობა აქვს მას შინ და სკოლაში და უკეთესი წარმოდგენა შეექმნას ბავშვის ემოციურ კავშირზე ოჯახის წევრებთან, მათ შორის დებთან/ძმებთან. ამასთან, ადვოკატმა უნდა მიმართოს სხვა დაინტერესებულ მხარეებს ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ალტერნატიულ მზრუნველებს, მასწავლებლებს, სოციალურ თანამშრომლებსა და სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს, რათა მიიღოს ინფორმაცია ბავშვის ახლანდელი მდგომარეობისა და კეთილდღეობის შესახებ.
როგორც ზემოთ აღინიშნა, უმნიშვნელოვანესია, რომ საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა შეესაბამებოდეს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს, თავგამოდებით დაიცას არასრულწლოვანი მარწმუნებელი და საფუძვლიანად და დამოუკიდებლად შეისწავლოს მისი საქმე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ბავშვთა ადვოკატებმა არ განსაზღვრონ საუკეთესო ინტერესები მხოლოდ პირადი გამოცდილების, ინტუიციის, ვარაუდების ან უარესი სცენარისა და სტერეოტიპების საფუძველზე. მაგალითად, არ იქნება ეთიკური არასრულწლოვანი მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის მიზნით რომ ვიკითხოთ, რა ენდომებოდა ბავშვის ადვოკატს საკუთარი შვილისთვის. ამის ნაცვლად, უნდა დაისვას კითხვა, თუ რა არის უკეთესი ამ ბავშვისთვის მისი ინდივიდუალური საჭიროებების, ისტორიის, ოჯახისა და თემის გათვალისწინებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმუშავეს საუკეთესო ინტერესების დეტალური მეთოდოლოგიური პროცესის გზით განსაზღვრის საუკეთესო პრაქტიკა, რათა არ იყოს პრინციპული განსხვავება პრაქტიკოს ადვოკატთა შორის და არსებობდეს საერთო ბაზა ბავშვის საჭიროებებისა და საბოლოოდ მისი საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად.

პროფესორ ჯინ კოჰის თქმით, როდესაც განვიხილავთ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, „საუკეთესო ინტერესების წარმოდგენის უკიდურესი ფორმის დროს გამოტოვებულია ადვოკატის საქმიანობის რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ადვოკატისა და

[21] Maryland Family Law § 5-525(f)(1). (მერილენდის საოჯახოსამართლო § 5-525(f)(1).)

მისი მარწმუნებლის თანამშრომლობა და დიალოგი დაიყვანება ერთკაციან მონოლოგამდე, რომლის გადამოწმებაც სრულიად არ ხდება მარწმუნებლის მიერ. მარწმუნებელი იქცევა ობიექტად, ნაცვლად წარმომადგენლობის სუბიექტისა. ადვოკატი, ჩვეულებრივ რწმუნებული, ამ ურთიერთობის დროს მოქმედებს, როგორც მარწმუნებელი."[22] როდესაც ამ პრინციპს ვითვალისწინებთ, ნათელი ხდება, რომ ბავშვის ადვოკატი არ არის სუროგატი მშობელი, მზრუნველი ან თუნდაც ბავშვის გამხმოვანებელი. ამის ნაცვლად ბავშვის ადვოკატი პასუხისმგებელია ბავშვთან პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ორმხრივია და რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

ბავშვთან კომუნიკაცია

ამ ყველაფრის ფონზე ადვოკატისა და მარწმუნებლის ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ბავშვთა ადვოკატის შემთხვევაში არის კომუნიკაცია. მარწმუნებელთან კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია, თუ ადვოკატს სურს წარმატებით გაესაუბროს, მისცეს რჩევა და დაიცვას არასრულწლოვანი მარწმუნებელი. ეფექტური კომუნიკაციის ელემენტებია: აქტიური მოსმენა, არაპირდაპირი გამოკითხვა ღია კითხვების გამოყენებით, პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება და კულტურული თავმდაბლობა, მარწმუნებლის კულტურის, თემისა და კონტექსტის გასაგებად, სამართლებრივი ვარიანტები განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ცხადია, არასრულწლოვან მარწმუნებელთან კომუნიკაციის ყველაზე მიზანშეწონილი მეთოდია ბავშვთან რეგულარული შეხვედრა, ერთი მხრივ, ბავშვისა და მისი სურვილების შესახებ ახალი ინფორმაციის მისაღებად, თუმცა, ამავე დროს, ბავშვთან პოზიტიური ურთიერთობის დასამყარებლად, რათა მან ადვოკატთან სენსიტიური საკითხები განიხილოს და ჩამოყალიბდეს ადვოკატისა და მარწმუნებლის შინაარსიანი ურთიერთობა, იმის მიუხედავად, რომ მარწმუნებელი ბავშვია.

თუ ადვოკატი წარმოადგენს ბავშვს, რომელიც განთავსებულია ალტერნატიული ზრუნვის მიზნით, კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის

[22] Jean Koh Peters, *The Roles and Content of Best Interests in Client Directed Lawyering for Children in Child Protection Proceedings*, 64 Fordham L. Rev. 1505, 1526 (1996). (ჯინ კოჰ პეტერსი, მარწმუნებელზე ორიენტირებული ბავშვთა ადვოკატის ფუნქციები და შინაარსი ბავშვთა დაცვის საქმეებთან დაკავშირებით)

უმაღლესი სტანდარტების დაცვა. მართლაც, ბავშვის ადვოკატი ვერ შეძლებს მითითებები მიიღოს მარწმუნებლისგან, თუ არ აქვს მარწმუნებელთან სათანადო კომუნიკაცია და არ არის გააზრებული ადვოკატის, როგორ ბავშვის საქმის დამცველის, როლი. მაგალითად, განვიხილოთ რა ტიპის და რა სიხშირის კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს ადვოკატს, როდესაც იგი წარმოადგენს მინდობით აღზრდაში მყოფ დებსა და ძმებს, რომლებიც შვიდი, ათი და ცამეტი წლისანი არიან. წარმომადგენლობის დაწყებიდან პირველ მოსმენამდე ადვოკატი უნდა ესაუბროს სამივე ბავშვს, რათა მიიღოს ინფორმაცია, დააზუსტოს მათი სურვილები, დაადგინოს, არსებობს თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობა ბავშვებს შორის და განუმარტოს საკუთარი, როგორც ბავშვთა ადვოკატის, როლი და სამართალწარმოება ასაკისთვის შესაბამისი ენით, რომელიც განსხვავდება ყველაზე უმცროსი და ყველაზე უფროსი ბავშვების შემთხვევაში. თავდაპირველი შეხვედრის შემდეგ ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს რეგულარული და ხშირი კონტაქტი, განსაკუთრებით ნებისმიერი სასამართლო მოსმენის ან საქმეში მნიშვნელოვანი ცვლილებების წინ, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვების განთავსება ან სერვისები. უმნიშვნელოვანესია ადვოკატის კონტაქტი მარწმუნებლებთან, რათა უზრუნველყოს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ განახლებული ინფორმაცია და ამავე დროს თავს კომფორტულად გრძნობნენ ადვოკატთან საუბრის დროს და მასთან დაკავშირებისას საჭიროების შემთხვევაში. ადვოკატი შესაძლოა განწყობილი იყოს მხოლოდ ყველაზე უფროს ბავშვთან საუბრისთვის, მაგრამ მან დამოუკიდებელი ურთიერთობა უნდა დაამყაროს თითოეულ ბავშვთან ასაკის მიუხედავად.

ბავშვის სურვილების განსაზღვრა ბავშვის ადვოკატის როლის მნიშვნელოვანი ასპექტია და საჭიროებს დიდ პრაქტიკას და სპეციალურ სწავლებას. საყოველთაოდ მიღებულია, რომ „ბავშვის ადვოკატმა ინფორმაცია უნდა მიიღოს ბავშვის სურვილების შესახებ განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილი გზით, მისცეს ბავშვს რჩევები და მითითებები. ბავშვის ადვოკატი უნდა წარმოადგენდეს ბავშვის მიერ გამოთქმულ სურვილებს და ასრულებდეს ბავშვის მითითებებს სამართალწარმოების პროცესში."[23] სტანდარტები ნათლად

[23] See ABA, supra note 1 at B-4. (ABA Standards on Client Preferences) (further clarifying that the child's attorney should "inform the child of the relevant facts and applicable law and the ramifications of taking various positions which may include the impact of such decisions on other family members or on future legal proceedings.") (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, იხ. შენიშვნა 1 B-4 ზემოთ(ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სტანდარტები მარწმუნებლის პრეფერენციების შესახებ) (დამატებითგანმარტავს, რომ ბავშვის ადვოკატმა „ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ბავშვს შესაბამისი ფაქტების, გამოყენებული კანონისა და სხვადასხვა პოზიციის არჩევის შედეგების შესახებ, მათშორის აღნიშნული გადაწყვეტილების გავლენის შესახებ ოჯახის დანარჩენ წევრებზე, ან მომავალ სამართალწარმოებაზე.")

განმარტავს, რომ ბავშვის ადვოკატის „ვალდებულებაა განვითარების მხრივ მიზანშეწონილი გზით განუმარტოს ბავშვს ყველა ის ინფორმაცია, რომლებიც ბავშვს დაეხმარება მაქსიმალური წვლილი შეიტანოს საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პოზიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში."[24] აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ბავშვის ადვოკატს დამოუკიდებელი ვალდებულება ეკისრება, ესმოდეს საკუთარი პროფესიული როლი და აუხსნას ეს მარწმუნებელს, რათა დაეხმაროს მას გაიგოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს აღნიშნული ურთიერთობის დროს.

მიზანშეწონილია ერთმანეთისაგან გამოვყოთ ისეთი საქმეები,როდესაც ბავშვი ძალიან პატარაა იმისათვის, რომ ადვოკატთან გამოხატოს თავისი სურვილი ან პოზიცია და ისეთი საქმეები, როდესაც ბავშვს შესწევს უნარი ადვოკატს გაუმხილოს საკუთარი სურვილი ან პოზიცია სასამართლო საქმის საბოლოო შედეგთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის ასაკი გამორიცხავს ადვოკატის შესაძლებლობას, რომ გაარკვიოს, თუ რას ამჯობინებს ბავშვი, ცხადია, რომ ადვოკატმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი საქმის ფაქტების მიმოხილვით, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგადად, მიღებულია, რომ ბავშვები, რომლებმაც ჯერ არ იციან საუბარი და დაახლოებით 1-დან 3 წლამდე ასაკისანი არიან , იმ კატეგორიის საქმეებს მიეკუთვნებიან, როდესაც ადვოკატს შეუძლია არ განსაზღვროს ბავშვის სურვილი ან პოზიცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვის ასაკი გამორიცხავს მის მიერ სურვილების მკაფიოდ გამოხატვის შესაძლებლობას, ბავშვის ადვოკატმა მაინც დამოუკიდებელი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალშობილის

ადვოკატს არ აქვს უფლება ექსპერტს ან გარეშე შემფასებელს, მაგალითად სოციალურ თანამშრომელს ან ფსიქოლოგს, მიანდოს საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ თანამშრომელთა დახმარებით იღებენ დამატებითი ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით. ექსპერტს შეუძლია სასარგებლო მითითებების მიცემა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად, მაგრამ მისი ინფორმაცია სათანადო კონტექსტში უნდა იქნას გამოყენებული, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბავშვის ადვოკატი გადამეტებულ უპირატესობას არ ანიჭებს რომელიმე კონკრეტულ ექსპერტს ან ანგარიშს და ამის ნაცვლად სრულფასოვნად განიხილავს და აფასებს ბავშვის გარემოს, საჭიროებებს, ინდივიდუალურ კონტექსტსა და მოცემულ კონკრეტულ სამართლებრივ პრობლემას. ზოგიერთი მკვლევრის რჩევით, მიზანშეწონილია საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის გააზრება ბავშვის სამართლებრივი უფლებების თვალსაზრისით, რაც თავიდან აგვაცილებს იმის გაანალიზებას, თუ რა შეიძლება

[24] Id. at B-4 Commentary. (განმარტებები)

იყოს ბავშვისათვის საუკეთესო მისი სამართლებრივი უფლებისაგან განსხვავებით.[25]

თუ გავითვალისწინებთ საკითხებს, რომელთა წინაშეც დგებიან ბავშვთა ადვოკატები და მათი უფლებამოსილების ჩარჩოებიდან გასვლის შესაძლებლობას, არცთუ იშვიათია ბავშვთა ადვოკატი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდეს მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესში საკუთარ როლთან დაკავშირებით. პროფესორი პეტერსი გვთავაზობს შვიდ სასარგებლო კითხვას ბავშვთა ადვოკატებისთვის, ადვოკატის პოტენციურად გადაჭარბებული ძალაუფლების შესამოწმებლად ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

შვიდი სასარგებლო რჩევა ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისთვის

- წარმომადგენლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურად ვცდილობ თუ არა, რომ შევაფასო საქმე ჩემი მარწმუნებლის სუბიექტური პოზიციიდან და არა ზრდასრული ადამიანის პოზიციიდან?

- ესმის თუ არა ბავშვს ყველაფერი, რაც შემიძლია რომ განვუმარტო საქმეში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?

- ჩემი მარწმუნებელი ზრდასრული რომ იყოს, იმავეს მოვიმოქმედებდი, იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდი და მას იგივენაირად მოვექცეოდი?

- თუ გადავწყვეტ, რომ ჩემს მარწმუნებელს იმავე მდგომარეობაში მყოფი ზრდასრულისაგან განსხვავებულად მოვექცე, აქედან რა სარგებელს მიიღებს ჩემი მარწმუნებელი? შემიძლია ეს სარგებელი ჩემს მარწმუნებელს ავუხსნა?

- შესაძლებელია, რომ ჩემი გადაწყვეტილებები საქმეში მონაწილე ზრდასრული ადამიანების კმაყოფილებას ემსახურებოდეს და არა ჩემი მარწმუნებლის ინტერესებს?

- შესაძლებელია, რომ საქმეში ჩემ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩემივე კმაყოფილებას ემსახურებოდეს ჩემი მარწმუნებლის ნაცვლად?

[25] Family Justice Initiative, *supra note* 2 at 2. (საოჯახო მართლმსაჯულების ინიციატივა, იხ. შენიშვნა 2 ზემოთ)

- მთლიანი წარმომადგენლობა ასახავს ამ ბავშვის უნიკალურ და დამახასიათებელ თვისებებს?[26]

ბავშვთა ადვოკატისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ბავშვებს წარმოადგენენ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცესისა და პრაქტიკის განხილვა და ზოგადი სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინება პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც დაიცავს მათ ცალკეული და სისტემური მიკერძოებისგან ანალიზის განხორციელების პროცესში.

ეთიკური სირთულეები საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის დროს

ბავშვთა ადვოკატები რიგი უნიკალური გარემოებების წინაშე დგებიან, რომლებიც წარმოიშობა ეთიკური და პრაქტიკული სირთულეების შედეგად წარმომადგენლობის პროცესში. მაგალითად, ბავშვთა ადვოკატებს ევალებათ ბავშვებთან საუბარი სენსიტიურ თემებზე, როგორებიცაა: ძალადობა, არასათანადო მოპყრობა, ოჯახური ურთიერთობები და ტრავმა. ამასთან, მკაფიო მითითებების არარსებობის პირობებში, ბავშვთა ადვოკატისათვის ხშირად რთულია შეინარჩუნოს ადვოკატის ფუნქცია ბავშვთან და არ მოირგოს რაიმე ისეთი როლი, რომელიც არ შედის მისი ცოდნის სფეროში, მაგალითად: ფსიქოთერაპევტის, ფსიქოლოგის, მასწავლებლის, სოციალური თანამშრომლის ან მზრუნველის. ფაქტები, რომელებიც ამ სფეროში გვხვდება, ზედმიწევნით დამაჯერებელი და უკიდურესად ტრაგიკულია, შესაბამისად, გასაგებია ადვოკატის სურვილი, რომ მაქსიმუმი გააკეთოს, რათა დაიცვას და გამოასწოროს აღნიშნული საკითხები მარწმუნებლისთვის. თუმცა ადვოკატის პროფესიული როლის გადამეტება ეთიკური დარღვევაა, რადგან ადვოკატს არ აქვს ამ სფეროს ცოდნა და საბოლოო ჯამში ამცირებს ბავშვის წარმომადგენლობის მნიშვნელობას და უნიკალურ ხასიათს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღიარებულ იქნას და შეიქმნას ისეთი სისტემები, რომლებიც განსაზღვრავს აღნიშნულ სირთულეებს, რადგან ამ კონკრეტული სირთულეების განსაზღვრის გარეშე, შესაძლოა, ბავშვთა ადვოკატები გასცდნენ ეთიკურ ჩარჩოებს ან პროფესიულ მომზადებას, რაც

[26] Jean Koh Peters, Representing Children in Child Protection Proceedings: Ethical and Practical Dimensions 65-69 (1997). (ჯინ კოჰ პიტერსი, ბავშვთა წარმომადგენლობა ბავშვთა დაცვის საქმეებზე: ეთიკური და პრაქტიკული განზომილებები 65-69 (1997).)

პოტენციურად აისახება არასრულწლოვან მარწმუნებელთა კეთილდღეობაზე. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია, რომ ბავშვთა ადვოკატმა და ორგანიზაციამ, რომელსაც ევალება ბავშვის წარმომადგენლობა ნებისმიერ რანგში, შეასრულოს ფუნდამენტური ეთიკური მითითებები. მაგალითად, ასეთი მითითებები მოიცავს მოსამართლესთან კომუნიკაციის აკრძალვას მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე. ბავშვის ასაკიდან და სტატუსიდან გამომდინარე, შესაძლოა მიმზიდველი იყოს საკითხების სასამართლო მოსმენის გარეთ განხილვა არაოფიციალურად ან ცალკე მოსამართლესთან. მოსამართლესთან კომუნიკაცია მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე აკრძალულია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება ბავშვს ან ინფორმაციის გაცვლა ბავშვის საქმისთვის სასარგებლოდ მიიჩნევა. ყველა მხარის მიერ სათანადო სამართალწარმოებისა და სასამართლო პროცესის კეთილსინდისიერების დასაცავად, მსგავსი კომუნიკაცია თავიდან უნდა იქნას აცილებული არა მარტო მოსამართლეებთან, არამედ სასამართლოს თანამშრომლებთანაც, მათ შორის მოსამართლის თანაშემწეებთან.

ბავშვთა ადვოკატმა ასევე უნდა დაიცვას წესები, რომლებიც არეგულირებს მარწმუნებლის ინფორმაციის კონფიდენციალურობას და კონფიდენციალური ინფორმაციის მოძიების ან მარწმუნებლის სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დროს მარწმუნებლისგან თანხმობის მიღების საკითხებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ინფორმაციის სენსიტიური ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე, რომლის მოპოვების პასუხისმგებლობაც ეკისრება ბავშვის ადვოკატს. მაგალითისთვის, ბავშვთა ადვოკატი მოიპოვებს და განიხილავს სამედიცინო ისტორიას და ფსიქოლოგის ჩანაწერებს, სასკოლო ანგარიშებს და სხვა სენსიტიურ დოკუმენტაციას, რომელთაც ადვოკატი ისეთივე სიფრთხილით და პატივისცემით უნდა მოეპყროს, როგორც მოექცეოდა ზრდასრული მარწმუნებლის სამედიცინო, ფსიქოლოგიურ თუ ფინანსური ხასიათის დოკუმენტაციას. არასრულწლოვანი მარწმუნებლისთვის კონსულტაციის გაწევისა და მისთვის საქმესთან დაკავშირებული მიმდინარე ინფორმაციის მიწოდების ზემოთ გაანალიზებული ვალდებულების ფარგლებში, ბავშვის ადვოკატმა ასაკისთვის შესაფერისად უნდა განიხილოს აღნიშნული მასალების მიღების მიზეზი, საქმის ფარგლებში კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროება და აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების ან გაუმჟღავნებლობის შედეგები. ადვოკატის ასეთი საუბრები არასრულწლოვან მარწმუნებელთან უმნიშვნელოვანესია საადვოკატო ურთიერთობის ფარგლებში, რათა ბავშვმა გაიაზროს სამართლებრივი პროცესები, მოთხოვნები და საქმის სავარაუდო შედეგები.

ამასთან, ბავშვის ადვოკატი ყურადღებით უნდა იყოს, რათა ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს არასრულწლოვანი მარწმუნებლის რომელიმე განცხადება ან შენიშვნა. შესაძლოა, მიმზიდველი იყოს არასრულწლოვანი მარწმუნებლის განცხადებების შესახებ ნაკლები სიფრთხილით საუბარი სხვა მხარეებთან ან

დაინტერესებულ მხარეებთან, თუმცა ბავშვის ადვოკატმა უნდა შეასრულოს იგივე მითითებები მარწმუნებლის მიერ გამხელილი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, როგორც კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებში და ითხოვოს ინფორმირებული თანხმობა.

ლიტერატურის მიმოხილვა ბავშვთა ადვოკატების შესახებ

ბავშვებთან მომუშავე ყველა ადვოკატის, მოსამართლის, სასამართლოს თანამშრომლისა და სასამართლოსთან დაკავშირებული სხვა პირისთვის სავალდებულო უნდა იყოს სპეციალური მომზადება. აღნიშნული სპეციალური მომზადება უზრუნველყოფს ბავშვთა ადვოკატის მიერ თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის ცოდნას ბავშვთა და მოზარდთა საკითხებთან დაკავშირებით და ინფორმირებულობას ასეთი ტიპის საქმეების დროს წარმოშობილი თანმდევი საკითხების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციების უმრავლესობაში ბავშვთა ადვოკატს წაახალისებენ ან ავალებენ ყოველწლიურად მონაწილეობა მიიღოს უწყვეტ სამართლებრივ საგანმანათლებლო მომზადებაში მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვთა წარმომადგენლობაზე, მათ შორის: შესაბამისი კანონები და წესები, ბავშვთა წარმომადგენლობის ეთიკური საკითხები; ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ძირითადი თეორიები და მათი გავლენა ბავშვთა წარმომადგენლობაზე ადვოკატის რანგში; ბავშვებთან გასაუბრებისა და მათთვის კონსულტაციის გაწევის ტექნიკა; სოციალური საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვებსა და მათ მშობლებზე, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები; ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება, ოჯახური ძალადობა, ბავშვზე ძალადობა და ბავშვის უგულებელყოფა; მრავალპროფილურ ექპერტებთან მუშაობა და მათი გამოყენება ბავშვის წარმომადგენლობის საკითხებთან დაკავშირებით და ტრავმის როლი და გავლენა ბავშვთა და მოზარდთა წარმომადგენლობის პროცესზე.

ტრავმისა და მისი გამოვლინებების გააზრება უმნიშვნელოვანესია როგორც ბავშვების წარმომადგენლობის შემთხვევაში, ასევე ნებისმიერ იმ სასამართლოში პრაქტიკისთვის,რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნებთან მსხვერპლის, მოწმისა და მხარის რანგში. ტრავმა განისაზღვრება, როგორც ინდივიდუალური ემოციური რეაქცია მძიმე ან ძალადობრივ მოვლენაზე და იგი გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე როგორც გრძელი, ასევე მოკლე ვადით. უკანასკნელი კვლევები ბავშვებსა და მოზარდებში ტრავმის გავრცელებისა და ეფექტების შესახებ გვიჩვენებს, რომ ბავშვობის ტრავმა და გადატანილი ძალადობა

ხანგრძლივად ახდენს გავლენას საერთო ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრდასრულობაშიც კი.

მცირეწლოვანთა და საოჯახო სასამართლოს მოსამართლეთა ნაციონალური საბჭოს რეკომენდაციით, სასამართლოებმა და მოსამართლეებმა "სათანადო მონაწილეობა უნდა მიიღონ სასამართლო სისტემაში, რათა, პირველ რიგში, არ ავნონ და აღიარონ, რომ ყველა პირს, რომლებიც წარდგებიან სასამართლოს წინაშე, აქვს საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, კულტურისა და ისტორიის შესახებ გამოცდილება."[27] სწავლება ტრავმის განსაზღვრების, გამოვლინებისა და ზემოქმედების შესახებ სასამართლოს ყველა თანამშრომლის, მათ შორის მოსამართლეებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის არის იმის უზრუნველყოფის გზა, რომ ბავშვთა ადვოკატების მუშაობას მარწმუნებელთა ტრავმასთან დაკავშირებით, უცოდინრობის გამო ხელს არ შეუშლის სასამართლო. ასევე შესაძლებელია ტრავმის შეფასების გამოყენება კონკრეტული სასამართლოს შემთხვევაში იმ სასამართლოს პრაქტიკისა და პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელსაც ნებისმიერი სახის რეგულარული ურთიერთობა აქვთ ბავშვებსა და ახალგაზრდებთან.

ქვემოთ მოცემული სტატიები და ანგარიშები წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში განხილული თემების უფრო ღრმად გაცნობისა და ბავშვთა ადვოკატების, მოსამართლეებისა და სასამართლოსთან დაკავშირებული სხვა პირების სასწავლო პროგრამებში შესაძლო გამოყენების მიზნით.

ბავშვთა წარმომადგენლობის საუკეთესო პრაქტიკა

Best Practice Model of Child Representation, QIC (collaboration between the University of Michigan and U.S. Children's Bureau) (ბავშვთა წარმომადგენლობის საუკეთესო პრაქტიკის მოდელი, (მიჩიგანის უნივერსიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა ბიუროს თანამშრომლობა)).

QIC Child Rep Training Materials, QIC-Child Rep Best Practice Model (QIC - ბავშვთა წარმომადგენლობის სასწავლო მასალები, QIC - ბავშვთა წარმომადგენლობის საუკეთესო პრაქტიკის მოდელი) (ტრენინგების, ფაუერფოითის სლაიდებისა და

[27] See NCJFC Trauma Informed Courts, (იხ. მცირეწლოვანთა და საოჯახო სასამართლოს მოსამართლეთა ნაციონალური საბჭო ტრავმის შესახებ ინფორმირებული სასამართლო) ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.ncjfcj.org/child-welfare-and-juvenile-law/trauma-informed-courts/

სხვა მასალების ნაკრები ბავშვების წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის ბავშვებთან გასაუბრებისა და კონსულტაციის, ბავშვთა უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების, სასამართლოში და სასამართლოს გარეთ ადვოკატის ეფექტური საქმიანობისა და ბავშვთა კეთილდღეობის მონიტორინგის თემებზე).

Questions that Every Judge and Lawyer Should Ask About Infants and Children in the Child Welfare System, National Council of Juvenile and Family Court Judges (3/22/17) (კითხვები, რომლებიც უნდა დასვას ყველა მოსამართლემ და ადვოკატმა ბავშვებზე მზრუნველობის სისტემაში მყოფ ჩვილებთან და ბავშვებთან დაკავშირებით, მცირეწლოვანთა და საოჯახო სასამართლოს მოსამართლეთა ნაციონალური საბჭო).

Five Tips for Successfully Interviewing Your Child Client, Cathy Krebs, American Bar Association (9/5/18) (ხუთი რჩევა არასრულწლოვან მარწმუნებელთან წარმატებით გასაუბრებისთვის, კათი კრაბსი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია).

Legal Representation in Child Welfare Proceedings, ABA Center on Children and the Law. (სამართლებრივი წარმომადგენლობა ბავშვთა კეთილდღეობის პროცესებში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ბავშვებთა სამართლის ცენტრი).

Attributes of High Quality Legal Representation for Parents and Children in Child Welfare Proceedings, Family Justice Initiative (მშობლებისა და ბავშვების ხარისხიანი სამართლებრივი წარმომადგენლობის მახასიათებლები ბავშვთა კეთილდღეობის პროცესებთან დაკავშირებით, საოჯახო მართლმსაჯულების ინიციატივა) (აყალიბებს ბავშვებისა და მშობლების ხარისხიანი სამართლებრივი წარმომადგენლობის პრინციპებსა და კომპონენტებს ძალადობისა და უგულებელყოფის პროცესებში და რეკომენდაციას იძლევა, რომ „ბავშვთა ადვოკატები და მშობელთა ადვოკატები ბავშვთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების დროს პირველ რიგში და უპირველეს ყოვლისა, არიან ადვოკატები, რომელთაც აქვთ ეთიკური მოვალეობები საკუთარი მარწმუნებლების წინაშე და მართლმსაჯულების აღსრულების თვალსაზრისით შეჯიბრებითი სისტემის ფარგლებში”).
Orlebeke, B., Zhou, X., Skyles, A., & Zinn, A. (2016). *Evaluation of the QIC-ChildRep Best Practices Model Training for Attorneys Representing Children in the Child Welfare System*. Chicago, IL: Chapin Hall at the University of Chicago (ორლებეკი, ბ., ჟოუ ქ., სკაილსი, ა და ზინ, ა. (2016). QIC-ბავშვთა წარმომადგენლობის საუკეთესო პრაქტიკის მოდელის სწავლების შეფასება ბავშვთა ადვოკატებისთვის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის ჩაპლინ ჰოლი

(სწავლების გავლენის შეფასება ბავშვთა ადვოკატებზე ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეებში).
Jean Koh Peters and Susan Bryant, The Five Habits of Cross-Cultural Lawyering and More (website detailing the five habits of cultural competent lawyers and also providing materials for clinical law teachers and practitioners to train and to learn about cultural competence and based off of the seminal 2001 article by Susan Bryant, *The Five Habits: Building Cross Cultural Competence in Lawyers*). (ჯინ კოჰ პეტერსი და სუზან ბრაინტი, კულტურათშორისი კომპეტენციის მქონე ადვოკატის საქმიანობის ხუთი ჩვევა და უფრო მეტი (ვებსაიტი, რომელზეც დეტალურად არის წარმოდგენილი კულტურულად კომპეტენტური ადვოკატის ხუთი თვისება და ასევე მოცემულია მასალები კლინიკური სამართლის მასწავლებლებისა და პრაქტიკოსებისთვის კულტურული კომპეტენციების სწავლების მიზნით, რომელიც ეფუძნება სუზან ბრანტის 2001 წლის ნაყოფიერ სტატიას, ხუთი ჩვევა: კულტურათშორისი კომპეტენციის ჩამოყალიბება ადვოკატებში).

რესურსები ტრავმასთან დაკავშირებით

What Can Juvenile and Family Courts do to Respond to Trauma? National Council of Juvenile and Family Court Judges (4/25/17) (რის გაკეთება შეუძლიათ არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოებს ტრავმაზე რეაგირებისთვის? მცირეწლოვანთა და საოჯახო სასამართლოს მოსამართლეთა ნაციონალური საბჭო)

NCTSN Trauma Bench card for the Trauma Informed Judge, National Child Traumatic Stress Network (7/30/13) (ტრავმის შესახებ ინფორმირებული მოსამართლის კითხვები ტრავმის შესახებ ბავშვთა ტრავმატული სტრესის ნაციონალური ქსელი).

Trauma Informed Legal Advocacy: A Resource for Juvenile Defense Attorneys, National Child Traumatic Stress Network, Justice Consortium Attorney Workgroup Subcommittee (2018) (ტრავმის შესახებ ინფორმირებული სამართლებრივი დაცვა: მცირეწლოვანთა დამცველი ადვოკატების რესურსი, ბავშვთა ტრავმატული სტრესის ნაციონალური ქსელი).

Ryan Matlow and Victor Carrion, Trauma Informed Techniques for Interviewing Immigrant Children: Guidelines and Recommendations for Attorneys and Other Professionals, Stanford Medicine and University of Texas, Rio Grande Valley School of Medicine (2019). (რაიან მატლოუ და ვიქტორ კარიონი, ტრავმის შესახებ ინფორმირებული ტექნიკები ემიგრანტ ბავშვებთან გასაუბრებისთვის: მითითებები და რეკომენდაციები ადვოკატებისა და სხვა პროფესიონალებისთვის,

სტენფორდის მედიცინის სკოლა და ტეხასის უნივერისტეტი, რიო გრანდეს მედიცინის სკოლა (2019)).

Brennen, J., Guarino, K., Axelrod, J., & Gonsoulin, S. (2019). *Building a multi-system trauma-informed collaborative: A guide for adopting a cross-system, trauma-informed approach among child-serving agencies and their partners*. Chicago, IL: Chapin Hall at the University of Chicago & Washington, DC: American Institutes for Research. (ბრენენი, ჯ., გუარინო, კ., აქსელროდი, ჯ., და გონსოულინი, ს. (2019). მულტისისტემური ტრავმის შესახებ ინფორმირებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება: სისტემათშორისი ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომის სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე უწყებებსა და მათ პარტნიორებს შორის. ჩიკაგო: ჩაპლინის ჰოლი ჩიკაგოს უნივერსიტეტი და ვაშინგტონის ფედერალური ოლქი: ამერიკის უნივერსიტეტები კვლევისთვის).

Trauma Informed Interviewing Techniques: A Toolkit for Attorneys and Other Professionals Working with Immigrant Children, Stanford Medicine and University of Texas, Rio Grande Valley School of Medicine (video training series and toolkit) (ტრავმის შესახებ ინფორმირებული გასაუბრების ტექნიკები: ინსტრუმენტი ადვოკატებისა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მუშაობენ ემიგრანტ ბავშვებთან, სტენფორდის მედიცინის სკოლა და ტეხასის უნივერისტეტი, რიო გრანდეს მედიცინის სკოლა (ვიდეოტრენინგის სერია და ინსტრუმენტების ნაკრები) (ყურადღებას ამახვილებს ემიგრანტ ბავშვებზე, მაგრამ შესანიშნავად მიმოიხილავს გასაუბრების ტექნიკებს ტრავმის მსხვერპლ ბავშვებთა მუშაობისას)
Conducting A Quick Screen for Trauma: Child Interview, Center for Addiction and Mental Health (მოკლე შემოწმება ტრავმასთან დაკავშირებით: ბავშვთან გასაუბრება, ადიქციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი).

ბავშვი, როგორც მოწმე

Robert H. Pantrell and Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health, *The Child Witness in the Courtroom*, Pediatrics, March 2017, 139 (e) (რობერტ ჰ. პანტრელი და ბავშვისა და ოჯახის ჯანმრთელობის ფსიქოსოციალური ასპექტების კომიტეტი, არასრულწლოვანი მოწმე სასამართლოს დარბაზში, *პედიატრია* 2017

Michael E. Lamb et al., Children and the Law, in Handbook of Child Psychology and Developmental Science, 12, 1-48 (Richeard M. Lerner. Ed., 2015) (მაიკლ ე. ლამბი და სხვ., ბავშვები და სამართალი, ბავშვთა ფსიქოლოგიისა და განვითარების მეცნიერების სამაგიდო წიგნი, 12, 1-48 (რიჩარდ მ. ლერნერი. რედ., 2015)).

Patrick A. Curtis & Gina Alexander (Eds). (2012). *What works in Child Welfare.* New York: Child Welfare League of America, *see especially* Chapter II.4 "What Works in Protecting Child Witnesses" by Kathleen Coubon Faller and Frank Vandervort. (პატრიკ ა. კურტისი და ჯინა ალექსანდერი (რედ). (2012). *რა მუშაობს ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებში.* ნიუ-იორკი: ამერიკის ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა, იხ. თავი II4 "რა მუშაობს არასრულწლოვანი მოწმეების დაცვის საკითხებში" კათლინ კუბონ ფოლერი და ფრანკ ვანდერვორტი).

ბავშვთა წარმომადგენლობის შესახებ სტატიების სამართლებრივი მიმოხილვა

Amy Harfeld, "Twenty Years of Progress in Advocating for A Child's Right to Counsel" American Bar Association (March 22, 2019) (ეიმი ჰარფილდი, „პროგრესის ოცი წელი -ბავშვთა უფლებების დაცვის ადვოკატირება" ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია (2019 წლის 22 მარტი))

Suparna Malempati, *Ethics, Advocacy, and the Child Client*, 12 Cardozo Pub. L. Pol'y & Ethics J. 633 (discussing the role of attorneys for children and the ethical constraints) (სუპარმა მალემპატი, *ეთიკა, ადვოკატირება და არასრულწლოვანი მარწმუნებელი,* (ადვოკატის როლის განხილვა ბავშვების შემთხვევაში და ეთიკური შეზღუდვები)).

Barry Feld and Perry Moriearty, *Race, Rights and the Representation of Children*, 69 Am. U. L. Rev. 743 (2020) (detailing the shortcomings of *In Re Gault* and proposing reforms to the system for juvenile delinquent clients and the system) (ბარი ფელდი და პერი მორიარტი, *რასა, უფლებები და ბავშვთა წარმომადგენლობა* (გოლტის საქმის ხარვეზების დეტალები და მცირეწლოვანი სამართალდამრღვევი მარწმუნებლების სისტემისთვის რეფორმების შემოთავაზება)

სამართლებრივი განათლება ბავშვთა ადვოკატებისთვის

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ გამოაქვეყნა ყველა იმ ორგანიზაციისა და კლინიკის სრული ჩამონათვალი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებს და მოზარდებს „ბავშვთა სამართლებრივი ცენტრების" დოკუმენტის შესაბამისად. ამასთან, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ შეადგინა სამართლის სკოლების კლინიკური პროგრამების სია ამერიკის შეერთებულ შტატებში,

რომლებიც დაკავებულნი არიან ბავშვთა უფლებების საკითხებით (სია). შემდეგი სია წარმოადგენს სამართლის სკოლის კლინიკების ნიმუშს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტების სწავლებაზე, რათა მათ წარმოადგინონ ბავშვები და მოზარდები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

Children's Rights Clinic, Drake Law School (Iowa) (ბავშვთა უფლებების კლინიკა, დრეიკის სამართლის სკოლა (აიოვას შტატი)) (კლინიკა, რომელშიც სამართლის სტუდენტები წარმოადგენენ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ძალადობისა და უგულებელყოფის პროცესებზე, საპროცესო წარმომადგენლებისა და ბავშვთა ადვოკატების რანგში და ახალგაზრდებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პროცესებში).

Children's Advocacy Clinic, Dickinson Law School (Pennsylvania) (clinic where law students represent children in abuse and neglect proceedings) (ბავშვთა დაცვის კლინიკა, დიკინსონის სამართლის სკოლა (პენსილვანიის შტატი)) (აღნიშნულ კლინიკაში სტუდენტები წარმოადგენენ ბავშვებს ძალადობისა და უგულებელყოფის პროცესებზე).

East Bay Community Law Program, Berkeley Law School (California) ((ისტ ბეის სათემო სამართლის პროგრამა, ბარკლის სამართლის სკოლა (კალიფორნიის შტატი) (მოიცავს ახალგაზრდების დამცველთა კლინიკას და განათლების ადვოკატირების კლინიკას).

Child and Family Advocacy Clinic, Rutgers Law School (New Jersey)
(ბავშვისა და ოჯახის დაცვის კლინიკა, რუტჯერსის სამართლის სკოლა (ნიუ ჯერსის შტატი) (კლინიკაში სამართლის სტუდენტები წარმომადგენენ ბავშვებს ძალადობისა და უგულებელყოფის პროცესებზე და სხვა ადმინისტრაციულ საკითხებში).

Children and Youth Law Clinic, University of Miami Law School
(ბავშვთა და ახალგაზრდების კლინიკა, მაიამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა) (კლინიკა, სადაც სამართლის სტუდენტები წარმოადგენენ ახალგაზრდებს ძალადობისა და უგულებელყოფის პროცესებზე და მინდობით აღზრდაში მყოფ ყოფილ ახალგაზრდებს სამოქალაქო საკითხებთან დაკავშირებით).

University of Michigan Law School Child Advocacy Law Clinic, (Michigan) (მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბავშვთა დაცვის სამართლის კლინიკა, (მიჩიგანის შტატი)) (ყველაზე ძველი კლინიკა ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ

ბავშვებს, მშობლებს და სხვა მხარეებს ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებთან დაკავშირებით).

New York University Juvenile Defender Clinic (New York) (ნიუ-იორკის უნივერსიტეტის არასრულწლოვანთა დაცვის კლინიკა (ნიუ-იორკი) (ერთწლიანი კლინიკა, რომელშიც სტუდენტები წარმოადგენენ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ბავშვებს არასრულწლოვანთა სასამართლოში).

Harvard Law School Child Advocacy Clinic (Massachusetts) (clinic where students represent children in abuse and neglect proceedings, juvenile delinquency cases, and education matters) (ჰარვარდის სამართლის სკოლის ბავშვთა დაცვის კლინიკა (მასაჩუსეტსის შტატი) (კლინიკა, რომლის სტუდენტები წარმოადგენენ ბავშვებს ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეებში, არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებსა და განათლებისა საკითხებთან დაკავშირებით).

University of Pennsylvania Law School Interdisciplinary Child Advocacy Clinic (Pennsylvania) (პენსილვანიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბავშვთა ინტერდისციპლინური დაცვის კლინიკა (პენსილვანიის შტატი) (ერთსემესტრიანი კურსი, რომლის სამართლის სტუდენტები და სოციალური სამუშაოს სტუდენტები თანამშრომლობენ ახალგაზრდების წარმომადგენლობის საკითხებზე ძალადობისა და უგულებელყოფის საქმეებთან და ყოფილი მინდობით აღზრდილი ახალგაზრდების საქმეებთან დაკავშირებით) (იხ. სტატია, რომელიც აღწერს სამართლისა და სოციალური სამუშაოს სტუდენტების სასწავლო პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს შემდეგ ბმულზე https://www.caseinpoint.org/live/news/10254-interdisciplinary-child-advocacy-clinic-focuses-on)).

University of Virginia Child Advocacy Clinic (Virginia) (ვირჯინიის უნივერსიტეტის ბავშვთა დაცვის კლინიკა (ვირჯინიის შტატი) (ერთწლიანი კურსი, რომლის სამართლის სტუდენტები წარმოადგენენ ბავშვებს ადმინისტრაციულ მოსმენებზე).

Youth and Education Law Project, Stanford Law School (California) (clinic where law students tackle education cases on behalf of children including direct representation of children in education matters) (ახალგაზრდობისა და განათლების სამართლის პროექტი, სტენფორდის სამართლის სკოლა (კალიფორნიის შტატი) (კლინიკა, რომლის სამართლის სტუდენტები მუშაობენ განათლების საქმეებზე ბავშვების სახელით და პირდაპირ წარმოადგენენ ბავშვებს განათლების საკითხებთან დაკავშირებით).